

უმოქმედა

სურათებიანი დამატება

დამატების № 19.

კვირა. 11 ივნისი, 1906 წ.

გაზეთის № 55

მარსელელი.

(საფრანგეთის რევოლუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

ლაზულმ მიხურა კარი, დადგა მაგიდაზედ ერთი ბოთლი ღვინო, თეფშითაც ბისკიტები და ჩვენ ვკამდით, იმან კი ადელინას ამბავი გვიაშობა:

— ხომ გახსოვთ, სოლიეში რომ პატარა ქალზე გელაპარაკეთ. როგორც გამოვედით იმ ქალაქიდან, მე შევნიშნე ბებერი დედაკაცი, რომელიც სიმთვრალით ძლივს იჯდა თავის ალაგას, ქალი კი ჩუმად ტიროდა, ბავშვივით, თითქო დედის მუშტების ეშინიანო. ყველა მგზავს ებრალებოდა, მაგრამ ხმა ვერავის ამოეღო, მე კი გადავწყვიტე, უმეველად შემეტყო რაში იყო საქმე. როცა ბებერს დაეძინა სიმთვრალისაგან, მე ახლო მივუჯექე ყმაწვილ ქალს და ჩურჩულით ვკითხე:

— რა მოგივიდა, საყვარელო, რომ აგრე სტირი? მიამბეთ, იქნება შევიძლო თქვენი დახმარება?

— მაღლომელი ვარ, — მითხრა იმან აკანკალებულის ხმით, მაგრამ ჩემი შეველა შეუძლებელია. არ ვიცი, რა მტრობა აქვს ჩემი ამ დედაკაცს, მაგრამ დამმართებს რასმე კია. მხოლოდ ვერ გამიგია, დედა-ჩემმა ჩემი თავი ამას როგორ ჩააბარა პარიზში წამოსაყვანად.

— თქვენ ვინა ხართ?

— მარკო ამბრენის ქალი ვარ და მქვიან ადელინა. ჩემი დედა-მამა და ძმა პარიზში წაიღინენ მეფის საშველად, რადგან მეფეს ღიდი განსაცდელი მოეღოს, მე კი ავინიონში შიშით ავად გავხდი და იქ დამტოვეს ამ დედა-კაცთან, რომელსაც პირველსავე დღიდან უნდა წამოვეყვანე პარიზში. ღმერთო ჩემო! მივალწევ კი სახლამდე? და თუ მივალწევ...

— თუ მიაღწევთ, თქვენ გეშველებათ: დედა თქვენი კეთილია და ძალიან უყვარხართ.

— დედისა კი არა, მე ბოროტი გერმანელისა მეშინიან ჩვენი ტყის მცველისა. დარწმუნებული ვარ იმასა და ამ ბებერს მოლაპარაკებელი აქვთ ჩემი დაღუპვა. ჩემი მშობლები კი ბრმად ენდობიან იმ გერმანელს. ერთხელ დედამ კინაღამ მცემბა, რადგან დიდის პატივისცემით არ მოვემეცი იმ გერმანელს. რა ვქნა, რით ვუშველო ჩემს თავს?! ღმერთს ვევედრები, ჩქარა მაინც მომკლას.

*) იხილე დამატება № 18.

საწყალი ქალი მოჰყვა საშინელ ტირილს. ისე გული მომიკლა იმისმა საცოდაობამ, რომ მეც ვიტყვი, მაგრამ ღონე მოვიკრიბე და გადავწყვიტე აუცილებლად ამ ბოროტ ხალხისაგან დამეხსნა, რადგან ამანაც ჩვენი პასკალი დაიხსნა.

— მე უბრალო დედა-კაცი ვარ, — ვუთხარ, ისევ ჩურჩულით — მაგრამ პატარა პასკალის ჩემს სახლში შევაფარებინე თავი, თქვენ ავინიონში სარდაფიდან რომ გაანთავისუფლეთ და, თუ ინებებთ, ჩემს სახლში თქვენთვისაც მოიპოვება ბინა.

ადელინა მომეგვია და მითხრა:

— დამიხსენით, დამიხსენით! მე თქვენ გამოგყევებით, სადაც გინდათ. ეს ბოროტი დედაკაცი სულ დანით მემუქრება.

— ჩუმად, ჩუმად! მგონია იღვიძებს. გახსოვდეთ, ჩემო საყვარელო, როცა მე გადავიდე დილიჩნიდან, თქვენც თან გამომყევით, ვითომც ჩემი ქალი ხართ.

— ყველაფერს ავასრულებ, რასაც მეტყვით, თქვენი მჯერა, რადგან საწყალ პასკალს თქვენ უპატრონეთ.


თენდებოდა, ბებერმა ჟაკრასმა თვალები გაახილა, მაგრამ იქვე ჩასთვლია. ადელინა აღარა ტიროდა და თვალს არ მაშორებდა, მეც უჩუმრად ხელს ვუჭერდი და ვამშვიდებდი.

ასე მივიღიოდით. ყოველ შესვენებაზედ ბებერი უფრო და უფრო თვრებოდა, ასე რომ ძლივს-ღა ამოდიოდა დილიჩანში.

— დეე, დალიოს, ვუჩურჩულებდი ადელინას, უფრო ადვილად მოეატყებოთ.

ღრო ჩავეგდე და მეეტლეს გავუზიარე ჩემი განზრახვა. ძალიან კეთილი კაცი აღმოჩნდა და მითხრა:

— ძალიან მიხარია, რომ ეგ მოგიფიქრიათ, დიდის სიამოვნებით გიშველით. პარიზში რომ შევალთ, დილიჩანს



საფრანგეთის რევოლუცია. — წოდებთა წარმომადგენლების კრება ეროვნულ კრებად ალიარებს თავს და დეპუტატებში ფიცს სდებენ, რომ არ დაიშლებიან ხალხისთვის თავისუფლების მოპოვებამდე (7 ივნისი, 1789 წ.)

„ოქროს მზეს“ დუქანთან გავაჩერებ და, მანამ მე ამ ბებრუნანს გავუმასპინძლებდი, თქვენ წადით და წაიყვანეთ ეგ ქალი, ბარგისთვის მეორე დღეს მოდით, მე შეგინახავთ.



საფრანგეთის რევოლუცია. — ჯარის იერიში. სენ-ანტუანის უბნის მუშებზე 22 აპრილი, 1789 წ.

ორი ღლის შემდეგ პარიზში მოვედით, დილიანი სწორედ იმ დღესთან გაჩერდა ბასტილის მოედანზე. მეეტლე გადმოხტა, კარი გააღო დილიჩნისა, თვალით მანიშნა და სთქვა:

— აბა, ვინ გაუმასპინძლებდა მეეტლეს?

— მე, — უბასუხა ბებერმა ხრინწიანის ხმით და ტორტმანით გამოვიდა დილიჩნიდან.

ერთის წამის შექმდე ორივენი შევიდნენ დუქანში.

საჩქაროდ ვანიშნე ადელინას, ხელში კლარე ავიყვანე, მსწრაფლ გადმოვხტით დილიჩნიდან და შევერიეთ ხალხში. მაგრამ ჯერ კიდევ შიშში ვიყავით, რადგან გემენეისის ვიწრო ქუჩის გზა უნდა გამეგო, იქვე შემხვდა სამეფო ნიშნების გამყიდვეი ვაჭარი და ვკითხე.

— ორ ნაბიჯზეა, — მიპასუხა იმან: — შებრუნდით სენტ-ანტუანის ქუჩაში და პირველი შესაბრუნებელი ვიწრო ქუჩა ის იქნება. გაუმარჯოს ეროვნებას! კაცარდა არა გნებავთ?

იმისთვის არა მცალოდა მე და ადელინა გავიქეციით, გვეშინოდა ქოფაკი არ გამოგვდგომოდა. ორი ნაბიჯიც და პლანშოს სახლის წინ ვიყავით. თვითონ გავგიღო კარი, ვუამბე, ვინც ვიყავით. პლანშომ და იმისმა ცოლმა სიხარულით მიგვიღეს და მას შემდეგ გელოდით თქვენ დამშვიდებულნი და ბედნიერნი. ხომ მიხვდით ახლა, რომ თქვენც უნდა იტყუოთ და ადელინა ამ კეთილ ხილხის თვალში ჩვენ ქალად უნდა დარჩეს.

— მართალი ხარ, — მიუგო ვოკლერმა: — მე ჩემს პლანშოს კარგად ვიცნობ, ძალიან გულ-კეთილია, მაგრამ რომ გაიგოს რომ ადელინა მარკიზის ქალია მეფის მოპარისა, საშინელ ალიაქოთს ასტეხავს, იქნება კიდევ გააგდოს სახლიდან. ჰა, პასკალ, ხუმრობა არ არის, არა წამოკვდეს. რა, ექსკალი! დილუშება, თუ თავის ოჯახში დაბრუნდა, ბოროტი სურტო, ქოფაკი ეკარასი და მარკიზი, დარწმუნებული ვარ, გაიფიცნენ. დაღუპონ მოხუცი მარკიზი, ზე რობერი, თუ ხელში ჩაუვარდნენ, ჯანბამ წაიღოს მარკიზის თავი და იმის შვილისაც, იმაზე ყველაფერი ახია, მაგრამ ადელინა მებრალეა და უნდა დავიხსნათ.

— მე არ მინდა, რომ ისინი დაიღუპნენ! — წამოიძახა ადელინამ და ოთახში შემოირბინა, — თქვენი ლაპარაკი გავიგონე სურტოს და ბებერ ეკარასს მამი ჩემის და ბიძის მოკვლა უნდათ და თქვენ კი არა შევლით, მე ამას არ მოვიტყენ. წამოიყვანეთ იმათთან, ისინი თორმეტი კარის ქუჩაზე დგანან. პასკალ, შენ უარს არაფერზე მეტყვი, — მითხრა მე და მაკოცა, — შენ გამაცილებ განა? არაფრისი არ მეშინიან, არც სიკვდილისა, ოღონდ მამა და ძმა დავიხსნა.

— სსსუ... სსსუ!.. სთქვა ვოკლერმა, — არავინ არ უნდა იცოდეს, ვინა ხარ. ჩვენ დავიხსნით შენს მამას და ძმას, ოღონდ ჩუმად იყავი, თორემ ყველანი დავიღუპებით.

ადელინას კოცნამ ქუთა დამიბნია და, ის რომ ტიროდა, მეც კეთილი მოვრთე.

— ჰო, ჰო, ჩვენ დავიხსნით, საცა გინდა, გავაცილებ! — ვიმეორებდი ტირილით.

განა ვიფიქრებდი, როცა ჩემი სამშობლო მივატოვე, რომ

როდესმე გამოვესარჩლებოდი მარკიზ აშბრენს და რობერს, რომელმაც ისე უწყალოდ სცემა მამაჩემს და უნდოდა მეც სარდაფში მოვეყალი სიმშლით.

ვილაკამ კარი დაგვიკაჯუნა. ლაზულში კარი გააღო, მაშინ პირველად ვნახე პლანშოს ცოლი. ერთი მიგებება და ხვეწნა-კოცნა გაჩნდა და მერე დაუსრულებელი ლაპარაკი.

— ძალიან, ძალიან მიამა თქვენი ნახვა! — ამბობდა ეანტონა: — რა ყოჩაღები არიან ჩვენი სამხრეთელები. ნაშდვილი აღმინებები, პარიზელებს კი არა ჰგვანან! პარიზელები სწორედ ვირ-თევზები არიან. არც კი იციან, რა უნდა გააკეთონ. მხოლოდ დაუსრულებლად ყბებდნენ, მაგრამ რა ყრია ძალის ყეფა? აი, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველას გააგებინებთ, როგორ უნდა ხალხის შევლა, მაგრამ გაფრთხილდით, არ მოსტყუვდეთ — კაპეტი და არისტოკრატები ძალიან ეშმაკები არიან, ვისაც არ მინდა, ყინულზე გაცურებენ. თქვენი ბატალიონი დღეს საღამოზე ნადიშე აპირობს წასვლას ელისეის მინდორზე, მზათ იყავით: იქ არისტოკრატები გელიანთ თავით ფეხამდე შეარაღებულნი და განზრახვა აქვთ არეულობა მოახდინონ რამე, ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგ გატყობინებთ იმათ განზრახვას, მერე უტოლდინარობას არა დაბრალოთ რა.

— კარგი, ეანტონა, ფრთხილად ვიქნებით, მაგრამ მაინც უნდა წავიდეთ, — მიუგო ვოკლერმა — რაკი აგრეა, პასკალ, ესლავე უნდაწავიდეთ! აი ჩვენი ერთგული მეგობრები, — მიუთითა ვოკლერმა დამბაჩეზე და ხმლებზე: — ესენი გვიშველიან არისტოკრატების დამარცხებაში. მართლა, ეანტონა, სანტერი იქნება ნადიშე. ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რაკაცია ეს პარიზელი. თქვენ ენდობით იმას

— მართალი ხართ, — მიუგო ეანტონამ, — ჩქარა წადით, ერთათ იყავით, ერთმანეთს არ დაშორდეთ. რაც შეეხება სანტერს, პლანშო კარგით იცნობს, ის გეტყვით, რამდენად შეიძლება იმისი ნდობა. მე მხოლოდ შეპიძლიან გაგონილი გადმოგცეთ, — სთქვა იმან დაბალის ხმით: — წუთელის ის ნახეს როგორ უზუმად მიიპარებოდა სახლიდან: ნუ აშფოთდებით, იმას მუდამ თვალს ადევნებენ, ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც კი ხდება. პლანშო ყოველ საღამოზე იაკობელების კლუბში დიდის. აი, იაკობელები ყოჩაღები არიან, ყური მახვილად უქრიათ. იცით, იმათ შვიდი გილოტინა შემოგვიკვეთეს. უი შენ ჩემო თავო! ყბებობაში გავერთე და დამვიწყდა, რომ პლანშოს წებო უნდა მოვეუზალო.

ეანტონა საჩქაროდ გაიქცა და მე ვოკლერს ვკითხე:

— რა არის გილოტინა?

— არ ვიცი, იქნება სკამებია და მაგიდები იაკობელე-ბისტვის.

— არც მე ვიცი, — დაუმატა ლაზულმ, — მაგრამ სკამი და მაგიდა კი არ არის. აი, ნახეთ, ერთი გილიოტინა ჩვენ ოთახშია, იმაზე ადელინასა სძინავს.

შევეყვით ლაზულის და დავინახეთ დიდი, ზტყელი ყუთი, ორი გრძელი ბოძით, რომლებსაც ზევით გაყრილი ჰქონდა კოკი და შუაში სჩანდა ქალი.

— აი, ნახეთ რა არის, — გვითხრა ლაზულმ, — ჰლანშომ გვათხოვა, სანამ იაკობელებს ჩააბარებს. ადელინას ძალიან მოსვენებით სძინავს ამაზე. მაგრამ რისთვის იქნება გამოსადეგი შემდეგში ეს რაღაც გილიოტინა, ვერ მიმხვდარვარ.

ვოკლერმა ყურადღებით გასინჯა ყველა მხრიდან და ბოლოს სთქვა:

— თუმცა ღურგალი ვარ, მაგრამ ვერ მიმხვდარვარ, რისთვის გაუკეთებიათ ეს მანქანა.

— სადღესასწაულო კამარებისთვის ხომ არ არის გამოსადეგი? — შევნიშნე მე.

— შენ, მგონია, მართალი ხარ, — მითხრა ვოკლერმა, — საკვირველია, რამ გამოგვასულელა და ეგ ვერ მოვიფიქრეთ. რა კიბეა უნდა, მართალი ხარ!

გავედით სამხარეულოში და შემოვიკარით ჩვენი წითელი ქაშკაბი.

— შენ ხომ მოხვალ, ჩესო პასკალ? — მითხრა ადელინამ და მომხვია. — ხომ წამიყვან მაშაჩემის სახლში?

ვოკლერმა რომ შემატყა დავიბენი, ჩემ მაგიერად უპასუხა:

— ჩვენ, ჩემი საყვარელო, შენი წაყვანა შეგვიძლიან რომ პარიზს დავეპატრონებით. მაშინ ბოროტ სურტოს და ბეზერ ჟაკოარას ციხეში ჩასმენ, შენ დამშვიდებული იყავი, ხვალ აქვე მოვალთ. თუ ეგრე აშოთებ, მოვა ის ქოფაკი და თითონ იცის, სადაც წაგიყვანს.

— რა თქმა უნდა, უეჭველად წაგიყვან შენს სახლში, — დავუმატე მე, — დავიფარავთ კიდეც იმ ბეზერ დედაკაცისაგან, ოღონდ შენ დამშვიდებული იყავი.

ადელინამ მადლობა გადაგვიხადა. ისე დავიბენ, რომ გადავხვით და შიგ ტუჩებში ვაკოცე. ვოკლერმა მომავლო ხელი და კიბეზე ჩამომათრია. ლაზულმ სიცილი დაიწყო და უთხრა ადელინას!

— ამისთანა გოგონის შემდეგ ტირილი და მწუხარება სწორედ შეუფერებელია.

ამ კონტო მე უფრო შევეკრთი, ვიდრე ადელინა, დადხანს ჩემს გარშემო ვერას ვხედავდი, მხოლოდ ვგრძნობდი იმის ტუჩების შეხებას, იმ წამში მზა ვიყავ ყველაფერი მიმეცა, ოღონდ დავბრუნებულიყავ და უზომოდ დამეკოცნა ადელინა. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო და ხმა ამოუღებლად მივედვდი ვოკლერს.

ნელ-ნელა გონს მოვედი და ჩემს გარშემო თვალთვლება დავიწყე. გავედით ბასტილის მოედანზე, რომელსაც ახლა დიდების ღებანს ეძახდნენ. აქ ვოკლერმა მიჩვენა ის ღუქანი, სადაც ავინიონელი დილიყანი იდგა. დიდის ყურადღებით დავთვალიერე, რადგან ლაზულმ აქ იხსნა იმ ბებრის ბრკალებიდან ადელინა.

ბასტილის მოედნიდან ვიწრო ქუჩაში შევბრუნდით და საჩქაროდ მივედით სენის ნაპირთან. ეს მდინარე მთელ პარიზზე მიმდინარეობს, რონახედ ბევრათ პატარა არის და

უფარგისიც — ძალიან მღვრიეა და ისე მიიზლახნება, რომ, ვერც კი შეატყობთ, საით მიდის.

სალამო მოტანებული იყო, როცა ელისეის მინდვრამდე მივედით. მთელი ჩვენი ბიტალიონი იქ იყო, იქ იყვნენ აგრეთვე პარიზელი პატრიოტები, რომელთაც სამხადის ჰქონდათ „დიდ სპილოს“ ღუქანში.

წარმოიდგინეთ, რამოდენა უნდა ყოფილიყო ის ღუქანი, რომ ხუთას კაციისათვის იდგა მაგიდები. ელისეის მინდვრები საესე იყო ხალხით. ზოგნი ხმა-მალა იძახდნენ: „გაუმარჯოს ეროვნებას“, ზოგნი: „გაუმარჯოს მეფეს“, გაუმარჯოს დედოფალს!“ უკანასკნელნი არისტოკრატები იყვნენ ანუ იმათი ლაქები, რომელთაც ჩვენ მოსატყუებლათ საერო გვარდიის მუნდირები ჩაცვათ და ნადიმი გაემართათ ჩვენ გვერდით მეორე ღუქანში, რომ ჩვენათ შფოთი აეტყვნათ.

ის იყო მაგიდებს მოვუსხდით სანტერის მეთაურობით, რომ ამ ცრუ პატრიოტებმა ჩვენ სარკმლებთან გააბეს მეფის და დედოფლის სადიდებელი სიმღერა. მაგრამ ხალხმა ხმა-მალა იწყო ყვირილი: „ძირს ავსტრიელი! ძირს უცხოელი! ძირს კობლენც!“ — და დაჰყარა იმათი სიმღერა. იმათ გული მოუვიდათ, იძრეს ხმლები, მისცვიდნენ ხალხს და დაუწყეს დევნა დედაკაცებს და ბავშვებს, რომელთაც საშინელი ყვირილი შექმნეს:


— გვიშველეთ პატრიოტებო! გვიშველეთ, მარსელელებო!

თუმცა სანტერი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ შევეკავებინეთ, მაგრამ ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო. ხმალ ამოღებულნი წამოცვივდით და ხალხს მივეშველენით. ბატონი არისტოკრატები ძალიან შეშინდნენ, უცბად მოჰკურცლეს და თავი სასახლეს შეაფარეს. ჩვენ უკან დავედევნეთ მაგრამ იმდენათ გვჭლდნენ, რომ ხმლის პირით კი არა, ყუთით ვცემდით რბილ ალაგებზე. ერთმა ღიპიანმა წაიბორწიკა და წუმპეში ჩავარდა, შემებრალა და წამოვაყენე.

— ეხლევ დაიძახე: „გაუმარჯოს ეროვნებას!“ ან არა აქვე გამოგუთვამ! — ვუთხარი მე და ხმალი მოვუქნიე.

— გრაჟ მორა-დე-სენ-მერი ვარ, — მითხრა იმან.

— ეგ ჩემთვის სულერთია. ეხლავ დაიყვირე: „გაუმარჯოს ეროვნებას!“



საფრანგეთის რევოლუცია. — ხალხისა და ჯარის შეტაკება 1789 წლის 28 აპრილს, სენ-ანტუანის უბანში.

— გაუმარჯოს ეროვნებას! — სთქვა იმან და გაიქცა სახალისკენ.

როცა სასადილოში დავბრუნდით, ელისეის მინდვრების მეორე მხრიდან გამოჩნდა მეორე რაზმი გვარდიელებისა. რასაკვირველია, ჩვენც წინ დაუხვდით. იმათ წინ მოუძლო-

დათ აფიცერი, დაუმიზნა დამბაჩა ერთს ჩვენგანს და ესროლა, მაგრამ ასცდა. მარსელელმაც ესროლა და თავი შუაზე გაუპო. შეშინდნენ და გაიქცნენ. ახლა კი გულმოსულნი გამოფულდნენ და ვინც მოგვხვდა, ხმლით დავჩხეთ. თორმეტი კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ, მაგრამ სანტერმა გვთხოვა, გავგეშო. ერთის სიტყვით ნადიმი ჩაიშალა.

დავიშალენით და წავედით ჩვენს ყაზარმაში პატრიოტ მირაბოს ქუჩაზე, თან სასმელ-საჭმელი წავიდეთ. საღამომ ძალიან მზიარულად ჩაიარა: ვსვამდით, ეკვამდით და ვმღეროდით, როგორც ჩვენს სამშობლოში. ბარბარუ და დანტონი მოვიდნენ ჩვენთან, გვამშვიდებდნენ და გვამედებდნენ, რომ სამი დღის შემდეგ სასახლეში წავიყვან-ათ.

— თუ საეროვნო საკრებულო და გვარდიელები არ გამოგვყვებიან, — გვითხრეს იმათ, — მაშინ ჩვენ თითონ წავიყვანთ და თქვენთან ერთად დავიხსნით წამებულ სამშობლოს.

სანტერი იმათ შეუერთდა, მაგრამ კი ვერ ეწინააღმდეგებოდა ამ მკვერმეტყველ პატრიოტებს, მხოლოდ ისიც გვარწმუნებდა, რომ სამი დღის შემდეგ თავის გვარდიელებით შემოგვიერთდებოდა.

შუალამისა და ვეწეით და დილაშდის დახოცილებით გვეძინა.

ჩვეულებისამებრ დილაზე აღრიანად ავდექით. ყაზარმაში მხოლოდ დარაჯები დარჩნენ, სხვები სულ გავიფანტნით, ვისაც საით სურდა; მე და ვოკლერი, რასაკვირველია, შინ წამოვედით.

პლანშო კარებში დაგვიხვდა და საიდუმლოდ გვითხრა:

— საკრებულომ შვიდი კიდე შემომიკვეთა. იმედი მქონდა თქვენ მიშველიდით, თორემ თოთხმეტ გილიოტინას სად მოვასწრობ ორ კვირაში!

— რასაკვირველია, ბიძა პლანშო, გიშველით, ჩვენ მზად ვართ ყველაფერში მოგვხმაროთ რევოლუციის სადღესასწაულოდ, ოღონდ დაგვაცადე ჩვენები ვნახოთ, მერე შენი მორჩილი მოსამსახურნი ვიქნებით.

ლაზულომ და ადელინამ ჩვენი ხმა გაიგონეს და მოგვეგებნენ, დაგვიწყეს კოცნა და თან ათას რასმეს გვეკითხებოდნენ.

— ჰა, რა ამბავია? კარგად ჩაიარა ყველაფერმა? სასახლე აიღეთ? ხომ არავინ მოუკლავთ?

ვუამბეთ, რომ ორი ან სამი დღით გადავდეთ ჩვენი საქმე. ისინი მაინც ათას რასმე გვეკითხებოდნენ.

პლანშომ ჩუმიდ გვიყურა და მერე გვითხრა:

— ეს ჩვენი ახალგაზდები აღარ ხუმრობენ, ძალიან ჰკოცნიან ერთმანეთს.

— დეე, ჰკოცნონ, რამდენიც უნდათ, — მიუგო ლაზულომ სიცილით, — აი, როცა ჩვენი ეროვნული საქმე გათავდება, მაშინ თავისუფლების ხის ქვეშ გადავწეროთ ჯვარი.

ადელინა გაწითლდა და სახეზე ხელები მიიფარა, მეც შევეკრთი და, რომ არ შემეშინევიან ჩემი მღელვარება, გავიხადე მუნდირი, დავიმკლავე და ვუთხარი პლანშოს:

— თანაშემწენი გინდათ? მე მზად გახლავართ სამუშაოდ!

— ყოჩაღ, ბიჭუნა! აი, ამ დაზგაზე იმუშავე და კარგად გამირანდე თორმეტი ბოძი გილიოტინისა, რამდენიმე დღე მომიცია მაგ საქმისთვის. შენ კი, ვოკლერი, შენ ხომ უბრა-

ლო მუშა არა ხარ, შენ ყველა ნაწილს მანქანისა შეაკეთებ ისე, როგორც რიგია.

— მე, კლარეს და ადელინას კი არ მოგვცემთ სამუშაოს? — ჰკითხა ლაზულომ.

— როგორ არა, თქვენ წებო მომიზადეთ და საუკეთესო გილიოტინები გამოვა.

სანამ ისინი ლაპარაკობდნენ, მე ხეს ვგრანდავდი. რადგან ფიქვის ხე იყო და ნედლიც, მშვენიერი სუნი დადგა და ჩემი მალ-მორი მომაგონა. ადელინა და კლარე ბურბუშელით თამაშობდნენ; გარდა ამისა ადელინა მაწოდებდა, რაც კი იარაღი დამჭირდებოდა.

— ბიძა პლანშო, ხომ ყველანი წავალთ გილიოტინის დღესასწაულზე? — ჰკითხა იდელინამ! — სად იქნება დღესასწაული?

— დიად, დიად, — მიუგო პლანშომ, — მე გაჩვენებთ ამ მანქანების მუშაობას ნამდვილი დღესასწაული იქნება.

დაწვრილებით აღარას ვკითხავდით, რვა დღე ვმუშაობდით ყველანი.

— ერთი მითხარით, ბიძა პლანშო, — ხშირად ჰკითხავდა ადელინა, — ფარანდოლა იქნება იმ დღესასწაულზე?

— აბა, უმისოდ როგორ იქნება! — მიუგებდა ხოლმე პლანშო.

— გილიოტინა ყვავილებით იქნება შემკული?

— დიად, დიად, მხოლოდ ყვავილები სულ წითლები იქნება.

მხოლოდ მე და ვოკლერი არას ვკითხავდით პლანშოს, გვრცხვენოდა ჩვენის უვიცობისა.

— ბიძა პლანშო, — უთხრა ერთხელ ადელინამ: — ნახშირი მომეცით, ჩემი სახელი დაწაწერო იმ გილიოტინას, რომელზედაც მძინავს, მინდა ვიცნო იმ დღესასწაულში ჩემი გილიოტინა.

მარტო ადელინამ იცოდა მთელ სახლში წერა. საღამოზედ შევედით და გავსინჯეთ როგორ იყო დაწერილი. მართლაც დიდრონის ასოებით დაწერა: „ადელინა“. თუმცა მას აქეთ სამოცმა წელმა გაიარა, მაგრამ მაინც თვალ წინ მიდგას ის ძვირფასი სხელი.

ყოველ საღამოს მე და ვოკლერი ყაზარმაში მივდიოდით და ღამეებს იქ ვატარებდით. დილით შინ ვბრუნდებოდით და ჩვენები ყოველთვის გვეკითხებოდნენ:

— რა ჰქენით, აიღეთ სასახლე? ბევრია მოკლული?

— ჯერ არა — ვუპასუხებდით ჩვენ დაღონებულები.

ყოველ დღე თითო მიხეზი არ ელეოდათ. ხან სანტერი გახდებოდა ავად, ხან ქალაქის თავი პეტიანი ბრძანებდა: „დრო არ არის სასახლეზე მისვლისა, არ წახვიდეთ, საქმეს დალუპავთ“. იქამდე მოგვაბეზრა ამ ზოზინმა, რომ ერთხელ მორგანი ავიდა ტრიბუნაზე, მოიღერა მუშტი და სთქვა:

— თქვენ სულ რიდაცისა გეშინიანთ, ჩვენ კი პატრიოტებს სამხრეთელ წითლებს, ჩვენ რომელთაც სამასი მილი გამოვიარეთ პარიზამდე მოსასვლელად, მხოლოდ თქვენი სიმახდლისა და სილაჩრისა გეშინიანთ. გეშინიანთ თქვენს ხელში რევოლუცია არ დაიღუპოს.

ელენე ინკონოვსკისა.

(შემდეგი იქნება),

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რუხილაძე.